2022

ასოციაცია HERA XXI
ყოველწლიური ბიულეტინი

ევრო HERA XXI

სარჩევი

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ეფექტური ადვოკატირება 3

ქალთა და გოგონათა საჭიროებები 7

სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებზე კონსულტირების მნიშვნელობა 9

ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება 10

ახალგაზრდები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისთვის 11

მოხალისეობა 13

ასოციაცია HERA XXI სოციალურ მედიაში 14

მობილიზებული რესურსების პროცენტული განაწილება ასოციაციის სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით 15

48

აქტივისტი

500-ზე მეტი

სერვისის ბენეფიციარი

5

ახალგაზრდული ჯგუფი

11 000-ზე

მეტი აუდიტორია სოციალურ ქსელში

2075

მოხალისე

1 სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ეფექტური ადვოკატირება

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევითა და საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, მრავალ მნიშვნელოვან პროცესს ჩაეყარა საფუძველი, რომელმაც თვისობრივად გააუმჯობესა ქალების, ახალგაზრდების, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების წვდომა ყოვლისმომცველ ინფორმაციაზე, ფორმალურ და არაფორმალურ განათლებასა და მაღალი ხარისხის უფლებრივად დაცულ სერვისებზე. გენდერული თანასწორობის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ადვოკატირება და ერთობლივი ძალისხმევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც ევროკავშირთან ინტეგრაციის ისტორიულ შესაძლებლობისა და საერთაშორისო ვალდებულებების ჯეროვნად აღსრულებას ხელს უშლის სტიგმა, სტერეოტიპები და ულტრაკონსერვატორული ანტიდემოკრატიული ინიციატივების მცდელობები.

HERA XXI წლებია აქტიურად ადვოკატირებს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე სრჯუ და გენდერული თანასწორობის მიმართულებით აღებული საერთაშორისო რეკომენდაციების აღსრულებისთვის გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ანგარიშვალდებულების გაზრდისთვის.

ადვოკატირება საერთაშორისო დონეზე:

შედეგები:

- ევროკავშირის დელეგაციასთან არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საკონსულტაციო ჯგუფში მუშაობის შედეგად, შემუშავდა რუკა და ქვეყნის დონის იმპლემენტაციის გეგმა სრჯუ საკითხების შესახებ საქართველოსთვის.
- სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისა და ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის ევროკავშირის საგზაო რუკაში სრჯუ/ Roadmap of EU with Georgia for engagement with civil society and Country Level Implementation Plan (CLIP) for Georgia.

- ასოციაცია HERA XXI მონაწილეობდა ოჯახის დაგეგმვის საერთაშორისო კონფერენციაში ICFP 2022. კონფერენციაზე ასოციაცია HERA XXI წარმომადგენლებმა საერთაშორისო პარტნიორებს საუკეთესო პრაქტიკები გაუზიარეს.
- UPR FOLLOW UP პროცესი: სრჯუ/გენდერული ნიშნით ძალადობის თემატური ჯგუფის ლიდერი ორგანიზაცია. შემუშავებული follow up სამოქმედო სტრატეგია.
- ნომინირებული EAP CFP-ის ეროვნული პლატფორმის სამდივნოს მიერ გენდერული მეინსტრიმინგის სტრატეგიის იმპლემენტაციისთვის;
- ასოციაცია HERA XXI მონაწილეობდა IPPF-ის გლობალური სტრატეგიის დამტკიცების პროცესში.

ადვოკატირება - სამუშაო ჯგუფებში მუშაობა და შედეგები ეროვნულ დონეზე

- 2022 წელს ასოციაცია HERA XXI-ის ძალისხმევით სრჯუ საკითხები დაინტეგრირდა სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში.
- ასოციაცია HERA XXI მონაწილეობდა სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგია 2023-2026 და მისი 2023 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში.
- პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის (MISP) საკოორდინაციო ჯგუფის ფარგლებში შემუშავდა 4 საადვოკაციო ფაქტების ფურცელი.
- ესტონელ პარტნიორებთან ერთად წარდგენილ იქნა ახალგაზრდულ კეთილგანწყობილი სერვისების ესტონური მოდელი როგორც კარგი პრაქტიკა ახალგაზრდული სააგენტოს, პარლამენტის ახალგაზრდულ საქმეთა და ჯანდაცვის კომიტეტების, NCDC და სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგის წარმომადგენლებთან.

ადვოკატირება ადგილობრივ დონეზე

ასოციაცია HERA XXI მუშაობს, რათა შეცვალოს დამოკიდებულებები, გადაიხედოს/შემუშავდეს პოლიტიკები და დაინერგოს საუკეთესო პრაქტიკები სრჯუ მიმართულებით.

თანამშრომლობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭო

- დამტკიცდა გენდერული თანასწრობის სტრატეგია და სამწლიანი სამოქმედო გეგმა სრჯუ საკითხების ინტეგრირებით.
- გათვალისწინებულია თანამშრომლობა ასოციაციასთან საბჭოს წევრების უნარების გაძლიერებისა და ე.წ „აუთრიჩ“ სერვისების მიმართულებით

ქუთაისის მერიის გენდერული საბჭო

- დამტკიცდა გენდერული თანასწრობის სტრატეგია და სამწლიანი სამოქმედო გეგმა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მექანიზმებით,
- გათვალისწინებულია ასოციაციასთან თანამშრომლობა

პარტნიორობა სახელმწიფო სტრუქტურებთან

არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრი:

- მემორანდუმის საფუძველზე ცენტრის მულტიდისციპლინური გუნდის უნარების გაძლიერება;
- საინფორმაციო შეხვედრები ბენეფიციარებთან;
- ალმების სისტემის გაცნობა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი:

- პარტნიორობის შედეგად შემუშავებული ელექტრონული სასწავლო კურსის "სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები მასწავლებლებისთვის" პილოტი
- პილოტის შედეგების პრეზენტაცია და კურსის აკრედიტაცია.

სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობისა და უფლებების ხარისხიან სერვისებზე დროულ ხელმისაწვდომობას ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია. ასოციაცია HERA XXI წლებია, მხარს უჭერს სრჯუ სერვისების პოპულარიზებას და მიწოდებას ყველასთვის, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

2022 წელს ონლაინ სერვისის პარალელურად ასოციაცია ახორციელებდა ვიზიტებს ადგილზე სერვისის უზრუნველყოფის მიზნით იძულებით გადაადგილებული პირებისთვის. ექიმ რეპროდუქტოლოგის მიერ მიზნობრივ სეგმენტს მიეწოდა სრული გინეკოლოგიური სერვისი, ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სრულიად უფასოდ გადაეცათ კონტრაცეფციული საშუალებები. პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში, ხდებოდა ბენეფიციარის რეფერალი შესაბამის სერვისთან.

- ინფორმაციული უზრუნველყოფა - ითვალისწინებს რა ინფორმაციის გაფილტვრასთან დაკავშირებულ სირთულეებს, ასოციაცია HERA XXI ბენეფიციარებს სთავაზობს სანდო ონფორმაციას რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ. ორგანიზაციას გააჩნია საკუთარი ციფრული პლატფორმები - რეპროდუქციული ჯანმრთელობის კაბინეტი და ქალების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ თემატურ სტატიებს, დაესწრონ LIVE ჩართვებსა და დასვან შეკითხვები სრულიად ანონიმურად;

- ონლაინ კონსულტირება - რეპროდუქციული კაბინეტი წლის განმავლობაში სრული დატვირთვით იყო მობილიზირებული და ჩართული ონლაინ კონსულტირების კუთხით, ხდებოდა ბენეფიციართა ზარებზე და ონლაინ ჩათში დასმული კითხვებზე რეაგირება, კონტრაცეპტივის შერჩევა. მიღების წესების სრული ახსნა დაკონტრაცეპტიული საშუალების მიწოდება ადგილზე, რაც ასევე დიდი მხარდაჭერაა მოწყვლადი ჯგუფებისათვის;

2022 წელს გამოწვევად რჩება სისტემური პრობლემები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ისეთ სერვისებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: ოჯახის დაგეგმვის, კონტრაცეფციის, უსაფრთხო აბორტის მომსახურებისა და აბორტის შემდგომი მეთვალყურეობის სერვისები.

საქართველოს მიერ საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულების მიუხედავად, რომელიც გულისხმობს კონტრაცეფციის შესახებ ინფორმაციისა და კარგი ხარისხის მომსახურების მისაწვდომობას ქალებისთვის, ისევ მნიშვნელოვან გამოწვევას რჩება ოჯახის დაგეგმვის სერვისები და კონტრაცეპტივების მიწოდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, შესაბამისად ეს საკითხი ართულებს ფინანსურ მისაწვდომობას კონტრაცეპტივებზე.

ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის შესახებ საგამოძიებო დოკუმენტურიფილმის პრეზენტაცია

საქართველოში დედობა ქალის უპირველეს პასუხისმგებლობად არის მიჩნეული, სადაც ბევრი შვილის ყოლა კულტურულად მეტად წახალისებულია, ხოლო კონტრაცეფციის საჭიროებას, საზოგადოება სათანადოდ ვერ აღიქვამს; შესაბამისად, ეს გარემოება კონტრაცეფციაზე წვდომის ერთ-ერთი ბარიერია.

ინფორმაციის არქონა ან/და ნაკლებობა ქალის რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, ხშირად ახალისებს, ახალგაზრდა ასაკში ქალების ქორწინებას და ზრდის იძულებითი ქორწინების რისკს.

სექსუალობასთან დაკავშირებული სტიგმა, ქალებს, ხშირად, საჭირო ინფორმაციის, სერვისისა და პროდუქტების მიღმა ტოვებს. კერძოდ, სტიგმით არის განპირობებული,რომ სირცხვილის გამო, ქალებს ხშირად უჭირთ ექიმისთვის შეკითხვის დასმა, პარტნიორთან კონტრაცეფციის, ან სხვა საკითხების განხილვა და საკუთარი სამედიცინო საჭიროების დაკმაყოფილებისთვის ფინანსური რესურსის მისაღებად ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება.

ქალის სხეულებრივი ავტონომიის უგულებელყოფა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში პარტნიორის და ოჯახის უფროსი თაობის წევრების ჩარევის ხშირი პრაქტიკა,

ხშირად იწვევს არადომინანტი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ქალებისა და გოგოების სექსუალური და რეპროდუქციული უფლების დარღვევას.

ქალის სექსუალობის კონტროლი, როგორც აღმოჩნდა, კიდევ ერთი გავრცელებული პრაქტიკაა არადომინანტ ეთნიკურ ჯგუფებში, რომელიც ქორწინებასთან დაკავშირებულ გარკვეულ წეს ჩვეულებებში ვლინდება და ქალების ღირსების შემლახავ ქმედებებს განაპირობებს.

და ბოლოს, კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების სიმცირე, ხოლო არსებული პროგრამების გენდერულად არა სენსიტიურობა, არაინკლუზიურობა, დაბალი ხარისხი და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე მნიშვნელოვნად აფერხებს ქალების და გოგოების წვდომას საჭირო სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე.

სოლიდარობა უკრაინელ ქალებს

გამოხატავს რა მხარდაჭერასა და სოლიდარობას უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ, ასოციაცია HERA XXI ფერტილურ ასაკში მყოფ ქალებსა და ახალგაზრდა გოგონებს სთავაზობს კეთილგანწყობილ სერვისებს, რომელთა მიღებაც იძულებით გადაადვილებულ პირებს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე შეუძლიათ

სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებზე კონსულტირების მნიშვნელობა

ადამიანის რეპროდუქციული ჯანმრთელობა და სექსუალური უფლებები წარმოადგენს ადამიანის კეთილდღეობის საწინდარს. რომელიც დაკავშირებულია მისი სრულ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასთან. ეს გულისხმობს იმას, რომ ადამიანს შეუძლია ჰქონდეს დამაკმაყოფილებელი და უსაფრთხო სექსუალური ცხოვრება და ინფორმირებული და თავისუფალი არჩევანის უფლება თუ რამდენი შვილი იყოლიოს.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად, ადამიანს სჭირდება ზუსტი და კომპეტენტური ინფორმაცია უსაფრთხო, ეფექტიანი და ხელმისაწვდომი კონტრაცეფციის შესახებ.

რეპროდუქციული ჯანმრთელობა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, ორსულობა, სექსუალური გზით გადამდები დაავადებების პრევენცია, ოჯახის დაგეგმვა, კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებზე ხელმისაწვდომობა, უსაფრთხო სექსი და უსაფრთხო აბორტი, რეპროდუქციული სისტემის ონკოლოგიური დაავადებების პრევენცია, სკრინინგი და სხვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ რეპროდუქციას ადამიანის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, თუმცა აღსანიშნავია, რომ რეპროდუქცია არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ უფლებრივ საკითხებსაც მოიცავს. ნებისმიერ ადამიანს უფლება აქვს ყოველგვარი ზეწოლის, იძულებისა და დისკრიმინაციის გარეშე თავად მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი სექსუალურ და რეპროდუქციულ ქცევასთან დაკავშირებით.

ქალს უფლება აქვს გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი და თავად გადაწყვიტოს როდის სურს შვილის გაჩენა, რამდენი შვილის გაჩენა სურს და ასევე უფლება აქვს თავიდან აიცილოს დაუგეგმავი და არასასურველი ორსულობა. მას ხელი უნდა მიუწვდებოდეს ისეთ სერვისებზე, რომლებიც დაეხმარება ორსულობის, უსაფრთხო მშობიარობისა და ჯანმრთელი ბავშვის ყოლაში. სწორედ ეს თავისუფალი არჩევანი, დამოუკიდებელი და გააზრებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ადამიანის რეპროდუქციულ უფლებას.

ორგანიზაცია აქტიურად საქმიანობს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში, უზრუნველყოფს სქესობრივი და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობას. ხელს უწყობს სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას. 2022 წელს სულ ასოციაციის კეთილგანწყობილი სერვისებით ისარგებლა 1366 მა ბენეფიციარმა.

2022 წელს ასოციაცია HERA XXI-ის კეთილგანწყობილი სერვისები ხელმისაწვდომი გახდა უკრაინიდან დევნილი მოსახლეობისთვის.

CONTACT US THROUGH HOTLINE

Зв'яжіться з нами через гарячу лінію:

032 20 11 221

ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება

ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების მიწოდება ახალგაზრდებისა და პროფესიული ჯგუფებისათვის ჯერ კიდევ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოსთვის. აღნიშნული განპირობებულია საზოგადოებაში გავრცელებული ცრურწმენებითა და სტერეოტიპებით, ეფექტური ტრენინგებისა და შესაბამისი მასალის ქართულ ენაზე არ არსებობით. ასოციაცია HERA XXI თავისი საქმიანობით ხელს უწყობს ყოველწლიურად ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომელიც შეამცირებს ზემოთ ხსენებულ ხარვეზებს და ხელს შეუწყობს საზოგადოებისათვის ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების მიწოდებას.

ფორმალური განათლება

ასოციაცია HERA XXI -ის პლატფორმა Ehera.ge-ზე შესაძლებელია შემდეგი კურსების გავლა:

- მოზარდთა რეპროდუქციული განვითარება და ჯანმრთელობა;
- რეპროდუქციული ჯანმრთელობის გავრცელებული პრობლემების მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში;
- სასწავლო კურსი თანასწორ-განმანათლებელთათვის სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების შესახებ "ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში"
- სასწავლო კურსი მეან გინეკოლოგებისადა შესაბამისი სერვის მიმწოდებლებისთვის " უსაფრთხო რეპროდუქციული სერვისები/უსაფრთხოაბორტი".
- სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა (სრჯ) კრიზისულ სიტუაციებში: დისტანციური სწავლების მოდული.

კურსის დასრულების შემდეგ, მონაწილეებს შეუძლიათ, ჩააბარონ ონლაინ გამოცდა და მიიღონ სერტიფიკატი.

არაფორმალური განათლება

- თანასწორების მიერ თანასწორთა განათლებას ისახავს მიზნად კურსი თანასწორგანმანათლებლებისთვის, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა UNESCO-ს ახალ ტექნიკურ სახელმძღვანელოს „ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში“. კურსი 2022 წელს გაიარა 90-მა ახალგაზრდამ. 13-მა ახალგაზრდამ აიმაღლა ტრენერული უნარ-ჩვევები და გახდა თანასწორგანმანათლებელი. თანასწორგანმანათლებლების მიერ ჩატარებული სესიების შედეგად, გადაამზადა 1039 ახალგაზრდა საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში.
- 2022 წელს ასოციაცია HERA XXI Amaze.org -ის საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი ორგანიზაცია გახდა, რომლის ფარგლებშიც ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ითარგმნა ანიმაციური ვიდეოები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. ასევე ვიდეოები ადაპტირდა ჟესტების ენაზე. ასოციაციის მხარდაჭერით მოხდა ვიდეოების ინტეგრირება არაფორმალური და ფორმალური განათლების პროგრამებში. ამ მიზნით, ორგანიზაციის მოხალისეები სტუმრობდნენ სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს.
- ტრენინგი ოჯახის ექიმებისთვის - ასოციაცია ჰერა XXI Association HERA XXI-ისა და Eesti SeksuaalterviseLiit თანამშრომლობის ფარგლებში, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კეთილგანწყობილი სერვისების მიწოდებისა და კონსულტირების მიწოდების შესახებ გადამზადდნენ ოჯახის ექიმები. ტრენინგს უძღვებოდნენ ესტონეთიდან მოწვეული ექსპერტ-ტრენერები.

ახალგაზრდები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისთვის

ყოველწლიურად იზრდება იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებიც ჩართულნი არიან ასოციაციის საქმიანობაში და ამით ხელს უწყობენ, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზებას თანასწორებში. მიიჩნევს რა პრიორიტეტულად ხსენებულ საქმიანობას, ორგანიზაცია არ ღალატობს აღებულ გეზს და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას, იდეების მხარდაჭერასა და მათ რეალიზებას. 2022 წელი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდული საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით. ორგანიზაციის ბაზაზე ხუთი ახალგაზრული ჯგუფი წარმატებით საქმიანობს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში: თბილისში, გორში, წეროვანში, ქუთაისსა და ახალციხეში. დღეისათვის ჯგუფის წევრებისა და აქტივისტების რაოდენობა 48 ახალგაზრდას შეადგენს, რომელთაგან 2.4% ბიჭია.

ორგანიზაცია ორიენტირებულია თანაბარი პირობებისა და შესაძლებლობების შექმნაზე როგორც გოგონებისათვის, ასევე ბიჭებისთვის. ახალგაზრდული ჯგუფების საქმიანობა დაკავშირებულია მოხალისეობრივი კულტურის გაძლიერებასა და ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარებასთან.

ახალგაზრდული ჯგუფები 2022 წელს შეუერთდნენ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ 16 დღიან საერთაშორისო კამპანიას, დაგეგმეს რა აქტივობა

,,ქალთა ინფორმაციული გაძლიერება ციფრული რესურსების გამოყენებით“, რომელშიც სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ადგილობრივმა ახალგაზრდებმა მიიღეს მონაწილეობა.

ორგანიზაციის მუნიციპალურ დონეზე თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია პროექტი ,,ახალგაზრდები ჯანსაღი მომავლისთვის“, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. პროექტის ფარგლებში თანასწორ-განმანათლებლად გადამზადდა გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 12 ახალგაზრდა. მათ მიერ ჩატარდა 90 საგანმანათლებლო სესია და გადამზადდა 800-ზე მეტი ახალგაზრდა.

ციფრული აქტივიზმი

2022 წელს ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცათ თანატოლებისთვის ხმა სოციალური ქსელების მეშვეობით მიეწვდინათ, გაეჟღერებინათ თავიანთი შემუშავებული მესიჯები და ხელი შეეწყოთ ციფრული აქტივიზმის განვითარებისათვის. ახალგაზრდების ხმა გაჟღედა პლატფორმაზე ასოციაცია ჰერა - XXI რომელსაც 2 000 - ზე მეტი აუდიტორია ჰყავს.



ცოდნის გაზიარებაზე დაფუძნებული ახალგაზრდული საქმიანობა

2022 წელს ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობდა გამოცდილ მოხალისეებთან, აქტივისტებსა და ახალგაზრდული ჯგუფის წევრებთან სხვადასხვა დროს დაგროვილი ცოდნის ერთმანეთთან გაზიარების მიზნით.

აღნიშნული გაზიარება, თავის მხრივ, ეხმარება ახალგაზრდებს მოკლე დროში შეიძინონ ცოდნა სრჯუ-ს შესახებ და გამოცდილ მოხალისეებთან კოლაბორაციის გზით ეფექტურად განახორციელონ პროექტები, იგრძნონ რა თავი, გუნდის სრულუფლებიან წევრებად.

2022 წელს ასეთი შეხვედრები განხორციელდა ქუთაისისა და ახალციხის მუნიციპალიტეტში.

ახალგაზრდებმა შეძლეს განსხვავებული გამოცდილებების მიღება, გაზიარება დარეგიონთაშორისი ახალგაზრდული საკონტაქტო ქსელის ჩამოყალიბება.

მოხალისეობა

2022 წელს მოხალისეების საერთო რაოდენობამ 2075-ს მიაღწია. საქმიანობის მიზნობრივად კოორდინირება და სწორად შერჩეული მექანიზმები ორგანიზაციას დაეხმარა შეექმნა ძლიერი წარმატებული მოხალისეობრივი პლატფორმა, სადაც გათვალისწინებულია თითოეული მოხალისის ინტერესი და რესურსი.

ასოციაცია HERA XXI-ის მიერ მოხალისეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით ორგანიზაციის ბაზაზე ფუნქციონირებს პლატფორმა „ჰერა XXI- ალუმნების ქსელი“ . ჰაბი 507 ახალგაზრდაა გაწევრიანებული. ეს არის სივრცე თვითრეალიზაციისა და პიროვნული განვითარებისთვის, გამოცდილების გაზიარებისა და საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისათვის.



AMAZE-ს საერთაშორისო ჯილდო მხარს უჭერს ასოციაცია „ჰერა ოცდაერთს“ მიაწოდოს AMAZE-ს ანიმაციური ვიდეოები ქართულ საზოგადოებას და გაზარდოს რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ცხოვრების ჯანსაღ წესთან დაკავშირებულ ინფორმაციიასა და რესურსებზე თავისუფალი წვდომა.

ასოციაცია HERA XXI კავკასიის რეგიონში AMAZE-ს ექსკლუზიური პარტნიორია.

ასოციაცია HERA XXI სოციალურ მედიაში



მობილიზებული რესურსების პროცენტული განაწილება ასოციაციის სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით



შედეგი 1

ქვეყანაში SRHR-ის მიმართ პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გარემო გაუმჯობესებულია ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებით

შედეგი 2

საქართველოში ახალგაზრდების უმეტესობას აქვს ცოდნა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, აკეთებს თავისუფალ არჩევანს და თავისი უფლებების რეალიზებას

შედეგი 3

საქართველოს მოსახლეობის ღარიბი და მოწყვლადი ჯგუფების მეტ ნაწილს ხელი მიუწვდება უფლებებზე დაფუძნებულ სრჯუ-ის სერვისებზე

შედეგი 4

ასოციაცია HERA XXI არის ფინანსურად მდგრადი და უზრუნველყოფს ძლიერ მოხალისე, აქტივისტებზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ მოძრაობას

ქ. თბილისი გამსახურდიას გამზ IIკვ შენობა 9 ბ 2;

xxihera@gmail.com

032 201 12 21

Hera-youth.ge